დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 5

ქ. დმანისი

28 მაისი 2026 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გოშუანი
4. აზერ ალიევი
5. სოფიო ასლამაზაშვილი
6. ლერი ბერუაშვილი
7. მურაზი აბრამიშვილი
8. მაკა ოკმელაშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. ილია სარსევანიძე
11. ემზარი პეტრიაშვილი
12. ნოდარი ადუაშვილი
13. დავით დაუთაშვილი
14. ნატიგ ოვჩიევი
15. სტამბულ ისაევი
16. ქამრან მამედოვი
17. მიხეილ დაუთაშვილი
18. შალვა ღამბარაშვილი
19. შოთა აკობაშვილი
20. გამლეტ ისმაილოვი
21. ემილ იბრაგიმოვი
22. თეიმურაზ მენაბდიშვილი
23. ირაკლი მუჯირიშვილი
24. აიდინ შარიფოვი
25. შაქირ ჩერპანოვი
26. ლომა გადრანი
27. ლია კავლელაშვილი
28. გოჩა გოჩაძე
29. ვაგიფ მუსაევი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : საკრებულოს აპარატის უფროსი თინათინ ციხელაშვილი.
სხდომის მდივანი: ტარიელ პაკელიანი
სხდომა დაიწყო: 12. 00
სხდომა დასრულდა: 12. 30
სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელსაც ერთხმად დაუჭირეს მხარი და მიმართა მომხსენებლებს გაეცნოთ საკითხები

დღის წესრიგი

1	**დადგენილება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სპორტსმენების, მწვრთნელების და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის და კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 მარტის №11 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე		
	მომხსენებელი:	**გ.გრიგალაშვილი**	
2	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
	მომხსენებელი:	**გ.გრიგალაშვილი**	
3	**განკარგულება:** „დმანისის მუნიციპალიტეტში 2026 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 იანვრის Nგ-109.109260231 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ		
	მომხსენებელი:	**ლ.მანთაშაშვილი**	
4	**განკარგულება:** „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 26 თებერვლის Nგ-109.109260578 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე		
	მომხსენებელი:	**ლ.მანთაშაშვილი**	

1. მომხსენებელმა: გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სპორტსმენების, მწვრთნელების და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის და კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და

ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 მარტის №11 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2023 წლის 30 მარტს N11 დადგენილებით დამტკიცდა წესი, რომელიც არეგულირებს დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების – სპორტსმენების, მწვრთნელების და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის და კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების პირობებს და პროცედურებს.

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მიხედვით „თითოეული დაწესებულება ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისა და ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ შემუშავებული და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად შეიმუშავებს ფინანსური მართვისა და კონტროლის საკუთარ სისტემას“.

ხსენებული კანონიდან გამომდინარე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სპორტსმენების, მწვრთნელების და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის და კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2023 წლის 30 მარტს N11 დადგენილება და სპორტის მიმართულებით დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირმა/პირებმა თვითონ შეიმუშაონ სპორტსმენების, მწვრთნელების და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის და კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების პირობების და პროცედურების განხორციელების საკუთარი წესი, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანების და სხვა საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

მომხრე: 29

წინაღმდეგი: არცერთი

2. მომხსენებელმა: გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

წარმოდგენილი ცვლილების მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქმიანობისა და მუშაობის პროცესის ოპტიმიზაცია, მართვის ეფექტიანობის გაზრდა და ფუნქციათა მოქნილი განაწილება. პრაქტიკულმა საქმიანობამ აჩვენა, რომ კონკრეტული ზედამხედველობითი უფლებამოსილებების მხოლოდ ერთი განყოფილების დონეზე იმპერატიულად მიკუთვნება აფერხებს საერთო საზედამხედველო ფუნქციების ოპერატიულად განხორციელებას. ცვლილების შედეგად, ადმინისტრაციული და

საჯარო ზედამხედველობის განყოფილების ვიწროდ განსაზღვრული ფუნქციები გაუქმდეს და ისინი გადავიდეს ზოგადად ინსპექციის კომპეტენციაში, რაც მუნიციპალურ ინსპექციას მისცემს შესაძლებლობას, შიდა ორგანიზაციული რესურსების გათვალისწინებით, უფრო ეფექტურად გადაანაწილოს საზედამხედველო დავალებები და უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამართალდარღვევათა პრევენცია და დროული აღკვეთა.

დადგენილების პროექტით ცვლილება შევიდეს დებულების მე-4 მუხლში, რომელიც არეგულირებს მუნიციპალური ინსპექციის სტრუქტურული ქვედანაყოფის (ადმინისტრაციული და საჯარო ზედამხედველობის განყოფილების) უფლებამოსილებებს. პროექტის მიხედვით, გაუქმდეს ამავე მუხლის მე-3 პუნქტის ქვეპუნქტები, რომლებითაც განყოფილებას ვიწროდ და კონკრეტულად ჰქონდა დელეგირებული კეთილმოწყობის, გარე იერსახის, გარე რეკლამის, ნარჩენების, უკანონო კონსტრუქციების და სხვა მიმართულებების ზედამხედველობა. ნაცვლად ამისა, განყოფილებას განესაზღვროს ზოგადი ხასიათის ფუნქცია — უზრუნველყოს მუნიციპალური ინსპექციის უფლებამოსილებების საერთო განხორციელება მერიის ხელმძღვანელობისა და ინსპექციის უფროსის დავალებების შესაბამისად.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

მომხრე: 29

წინაღმდეგი: არცერთი

3. მომხსენებელმა: ლევან მანთაშაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტში 2026 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 იანვრის Nგ-109.109260231 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პუნქტი 1 „ქ. დმანისი შოთა რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაცია“-ის პროექტში 31586 ლარი გადატანილი იქნას პუნქტ 10-დან „სოფ. ჯავახის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია“ ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მორჩენილი ეკონომიიდან.

დაემატოს პუნქტი 19

19	ქ. დმანისში საქონლის გადასარეკი გზის მოწყობის პროექტი	გზები	44,656.00	

აღნიშნული თანხა გადატანილი იქნას პუნქტ 10 დან „სოფ. ჯავახის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია“.

პუნქტი 13 „2025 წლებში საზედამხედველო/საექსპერტო მომსახურება“ 280000 ლარიდან 335000 ლარამდე. აღნიშნული თანხა გადატანილი იქნას პუნქტ 14-დან „საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა“, რომელიც შედეგად შეადგენს 270000 ლარის ნაცვლად 215000 ლარს.

აზრი გამოთქვეს:

გადაწყვიტეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 29

წინაღმდეგი: არცერთი

4. მომხსენებელმა: ლევან მანთაშაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი **„**სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო

ბიუჯეტიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 26 თებერვლის №-109.109260578 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2026 წელს სოფლის მხარდაჭერი პროგრამით განსახორციელებელი პროექტების ნუსხა					
	ადმინ. ერთეული	დასახლების სახელწოდება	პროექტის დასახელება	პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება, ლარი	შენიშვნა
1	სარკინეთი	ახა	სანიაღვრე არხის მოწყობა	10000	
		ახა	გარე განათების მოწყობა	0	აღნიშნული სამუშაოები აღარ განხორციელდეს
2		ველისპირი	წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა	10000	
3		განახლება	ღია სივრცეში სავარჯიშოს და ფანჩატურის მოწყობა	10000	
		განახლება	არსებული ძველი გარე განათების ახლით ჩანაცვლება	0	აღნიშნული სამუშაოები აღარ განხორციელდეს
4		სარკინეთი	ჩიხებში გარე განათების მოწყობა	10000	
5	გომარეთი	გომარეთი-კაკლიანი	სოფ.გომარეთის საჯარო სკოლასთან არსებული გზის რეაბილიტაცია	26000	
6		მამულო	სოფ.მამულოს სასაფლაოს შემოღობვა	10000	
		მამულო	სოფ.მამულოს დარჩენილ ქუჩებზე გარე განათების მოწყობა	0	აღნიშნული სამუშაოები აღარ განხორციელდეს
7		ქცია	სოფლის შიდა გზის პირას ტროტუარის მოწყობა	10000	
8	კარაბულახი	ზემო კარაბულახი	სოფლის შიდა ქუჩების მოხრეშვა	16000	

9		ქვემო კარაბულახი	საზოგადოებრივ სივრცეში ფარდულის მოწყობა	10000	
10		ახალი გოდაგდაგი	შიდა სოფელში ერთი ქუჩის სანიაღვრე ერხის მოწყობა	10000	
		ახალი გოდაგდაგი	საზოგადოებრივი სივრცის ტერიტორიის და ფარდულის მოწყობა ბეტონის ხსნარით	0	აღნიშნული სამუშაოები აღარ განხორციელდეს
11		ძველი გოდაგდაგი	საბავშვო სკვერის მოწყობა	10000	
12		პირველი და მეორე სალამალეიქი	ფარდულის რეაბილიტაცია	20000	
14		უსეინქენდი	ფარდულის მოწყობა	10000	
15		მამიშლარი	ფარდულის მოწყობა	10000	წყლის სათავე ავზისა და სოფლამდე წყლის მიყვანა
16		სოგუთლო	ფარდულის მოწყობა	10000	
17	კამარლო	შახმარლო	შიდა გზების მოხრეშვა	12000	
18		კამარლო	სასაფლაოს შემოღობვა	16000	
		კამარლო	შიდა გზების რეაბილიტაცია	0	აღნიშნული სამუშაოები აღარ განხორციელდეს
19		ქარიანი	ცენტრალური გზის მიმდებარედ მოსაცდელის მოწყობა	10000	
		ქარიანი	წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია	0	აღნიშნული სამუშაოები აღარ განხორციელდეს
20	იფნარი	დაგარახლო	ფარდულის და იატაკის მოწყობა	0	აღნიშნული სამუშაოები აღარ განხორციელდეს

		დაგარახლო	ტრენაჟორების მინი სტადიონის ტერიტორიაზე მოწყობა	16000	
21		იფნარი	საზოგადოებრივი საბავშვო მინი სკვერის მოწყობა	12000	
22		კიზილაჯლო	10 ცალი გარე განათების ბოძი	4300	
		კიზილაჯლო	სოფლის შიდა გზების მოხრეშვა	5700	
23		საჯა	საზოგადოებრივი სივრცის რემონტი და წინა მხარეს კედლის მოწყობა	10000	
24		ბახჩალარი	საზოგადოებრივი სივრცის დამხმარე ნაგებობის და საპირფარეშოს მოწყობა	10000	
25	კიზილქილისა	შინდლარი	გარე განათების მოწყობა.	9800	
		შინდლარი	ფარდულის მოწყობა	2200	
26		კიზილქილისა	გარე განათების წერტილების მოწყობა	12000	
27		ორმაშენი	საზოგადოებრივი სივრცის მოწყობა	10000	
28	განთიადი	განთიადი	საზოგადოებრივი სივრცის შემოღობვა	9500	
		განთიადი	სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთის მიმავალი გზის მავთულ-ბადით შემოღობვა	6500	
29		ჯავახი	საზოგადოებრივი სივრცის რეაბილიტაცია	2600	
		ჯავახი	სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მიმავალი გზის მავთულ ბადით შემოღობვა	13400	
30		ტნუსი	სოფ.ტნუსში სანიაღვრე არხის მოწყობა	12000	
		ტნუსი	რიტუალების სახლის სამზარეულოს მოწყობა	0	აღნიშნული სამუშაოები აღარ განხორციელდებ
31	ბოსლები	ბოსლები	საზოგადოებრივი სივრცის მოწყობა	8000	

		ბოსლები	ბლოკის კედელი საბავშვო ბაღთან	4000	
32		კაკლიანი (აზერბაიჯანული)	გარე განათების მოწყობა	12000	
		კაკლიანი (აზერბაიჯანული)	გზის მოხრეშვა	0	აღნიშნული სამუშაოები აღარ განხორციელდეს
33	დიდი დმანისი	ვარდისუბანი	საზოგადოებრივი სივრცის რეაბილიტაცია	12000	
34		დიდი დმანისი	საზოგადოებრივი სივრცის ეზოს კეთილმოწყობა	12840	
		დიდი დმანისი	გზისპირა მოსაცდელის მოწყობა	3160	
35		პატარა დმანისი	საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის მიმდებარედ ფარდულის მოწყობა	10000	
36	მაშავერა	მაშავერა უკანგორა	სანიარვრე სისტემის მოწყობა.	24310	
		მაშავერა უკანგორა	წყაროს წყლის რეაბილიტაცია	1690	
37	პანტიანი	იაღუფლო	საზოგადოებრივ სივრცესტან სველი წერილის მოწყობა და ტერიტორიის შემოღობვა	16000	
38		პანტიანი	საზოგადოებრივი სივრცის მოწყობა	12000	
39		დალარი	გარე განათების მოწყობა.	10000	
		დალარი	სოფლის შიდა გზების მოხრეშვა	0	აღნიშნული სამუშაოები აღარ განხორციელდეს
40	ოროზმანი	ქვემო ოროზმანი	გარე განათების გაგრძელება	12000	
41		ზემო ოროზმანი	საზოგადოებრივი სივრცის რეაბილიტაცია	16000	
42		მთისძირი	ფარდულის იატაკის დაბეტონება	12000	
43		ვაკე	მინისკვერამდე მისასვლელი გზის გასწორება და დაბეტონება	12000	

44	საკირე	საკირე-გორა	სოფ გორას მისასვლელი გზაზე სანიაღვრე არხის მოწყობა	20000	
45	გუგუთი	გუგუთი	სანიარვრე არხების მოწყობა	10000	
46		კამიშლო	გარე განათების გაგრძელება	12000	შიდა და მისასვლელი გზის რეაბილიტაცია
47		ლოქჭანდარი	მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	10000	
48	ამამლო	ბაზაქლო	საზოგადოებრივი სივრცის რეაბილიტაცია	16000	
49		ამამლო	გარე განათების მოწყობა	20000	
50		მამიშლო-ანგრევანი-ტყისპირი	საზოგადოებრივი სივრცის რეაბილიტაცია	32000	
51		საფარლო	საზოგადოებრივი სივრცის რეაბილიტაცია	12000	
54	ირგანჩაი	ირგანჩაი	გარე განათების მოწყობა	20000	
				686000	

აზრი გამოთქვეს:

გადაწყვიტეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 29

წინააღმდეგი: არცერთი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი ტარიელ პაკელიანი